მეთექვსმეტედფინალური მატჩები საბჭოთა კავშირის თასზე
ქართველ დინამოელთა მატჩი
ბათუმი. “დინამოს” სტადიონი. 14 აგვისტო.

“დინამო” (ბათუმი) - “დინამო” (თბილისი) 1:4 (1:1).

ბათუმი: მამინაშვილი (კუცია), გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, თორღაშვილი, ჟვანია, ბაბუნიძე, შელია (ცხოვრებაშვილი, ა. ჩელებაძე), გორგილაძე, ესებუა.

თბილისი: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, ჩქარეული, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, ჟორდანია (ფრიდონაშვილი), გურული, ცაავა (მახარაძე), მესხი (გოგრიჭიანი).

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

მატჩის დასაწყისში სახიფათო მომენტები მხოლოდ თბილისელთა კართან იქმნებოდა. მე-6 წუთზე ჩიქოვანმა ბურთი მიაწოდა ჟვანიას, მერე უკან მიიღო და პირისპირ აღმოჩნდა გაბელიასთან. გადამწყვეტ მომენტში ბურთი მან კარს ააცილა. შემდეგ ჟვანიამ გარღვევაზე გაიყვანა ესებუა და თბილისელთა კარი გადაარჩინა არზიანმა. ამის მერე ბურთის გატანა შეეძლოთ გორგილაძეს, ბაბუნიძეს.

28-ე წუთზე სტუმრებმა პირველი შეტევა განახორციელეს და იგი გოლით დაამთავრა ჟორდანიამ - 1:0. ამ ბურტის გაშვებაში მთლიანად დამნაშავე იყო მეკარე მამინაშვილი.

მე-40 წუთზე გორგილაძემ ძელს მოახვედრა ბურთი. 43-ე წუთზე კი უყურადღებოდ დატოვებულმა ჟვანიამ შესძლო საპასუხო ბურთის გატანა.

მეორე ტაიმში, მე-80 წუთამდე მინდორზე არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. მატჩის მიწურულს ბათუმელთა მცველებმა ზედიზედ დაუშვეს შეცდომები, ჯერ კაკილაშვილმა, შემდეგ გურულმა და ბოლოს მიქაბერიძემ ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ მერვედფინალში.

დავით კაკაბაძე, ლელოს” სპეც. კორესპონდენტი

“ლელო”, 15 აგვისტო, 1985 წ.